

# Geo დაიჯესტი

*№10 / ოქტომბერი, 2021 წ.*



## სარჩევი

ნატო-ს თავდაცვის მინისტრიალის შედეგები.....	3
ვაშინგტონმა ირანის უპილოტო საფრენი აპარატების პროგრამას სანქციები დაუწესა.....	6
ჩინეთმა ჰიპერბერითი ორბიტალური რაკეტა გამოსცადა.....	7
აზერბაიჯანი-თურქეთი-საქართველოს თავდაცვის მინისტრიალი .....	9

ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისის“ ამერიკისმცოდნეობისა და ევროატლანტიკური მიმართულების დირექტორი

### ნატო-ს თავდაცვის მინისტრიალის შედეგები



2021 წლის 21-22 ოქტომბერს ნატო-ს თავდაცვის მინისტრიალი გაიმართა. რუსეთის ფედერაციის მზარდი აგრესიის ფონზე ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა დაამტკიცა გეგმა, რომელიც ეხება წევრი ქვეყნების დაცვას კრიზისა და კონფლიქტის დროს. ის ორიენტირებულია ალიანსის 1 მილიარდი მოქალაქის საფრთხეებისგან დაცვასა და უსაფრთხოების შესაძლებლობების განმტკიცებაზე.

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა რუსეთის აგრესიულ მოქმედებებზე. მან აღნიშნა, რომ ალიანსი განავითარებს პოლიტიკური და სამხედრო ღონისძიებების პაკეტს რუსულ საფრთხესთან გასამკლავებლად. ეს პაკეტი მოიცავს ალიანსის საჰაერო და სარაკეტო თავდაცვის საშუალებების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ის გულისხმობს სადაზვერვო შესაძლებლობების გაძლიერებას, წვრთნების განხორციელებას და შეკავების ინსტრუმენტების მეტად განვითარებას.

ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივანმა, ლოიდ ოსტინმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის მნიშვნელობაზე, რომელიც ალიანსის წევრი სახელმწიფოების ურყევი ვალდებულებაა და ნიშნავს კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფას.

ნატო-ს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის განცხადებით, რუსეთი რჩება ევროპაში მშვიდობის ყველაზე დიდ დამრღვევად. იენს სტოლტენბერგმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ნატო-სა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობები, „ცივი ომის“ შემდგომ, ერთ-ერთ ყველაზე დაბალ ნიშნულზეა.

საქართველოსთან მიმართებით ნატო-ს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყანა ალიანსისათვის ძალიან ღირებულ პარტნიორს წარმოადგენს. ასევე, მან განაცხადა, რომ მისი სპეციალური წარმომადგენელი ჰავეიერ კოლომინა არის საკმაოდ გამოცდილი დიპლომატი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოსა და ნატო-ს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.

ამასთანავე, ალიანსის მინისტერიალზე აღინიშნა, რომ რუსეთი ვერ დაბლოკავს სუვერენული სახელმწიფოების ნებას გახდნენ ნატო-ს წევრები. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თანახმად, ყველა ქვეყანას აქვს უფლება თავად განსაზღვროს მისი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები. შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებული არიან დაიცვან საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპები. რუსეთის ფედერაციამ პატივი უნდა სცეს სხვა სახელმწიფოების სუვერენულ გადაწყვეტილებებს. სწორედ წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს შეუძლია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

**თავდაცვის მინისტერიალის ფარგლებში პირველად ისტორიაში ნატო-მ ხელოვნური ინტელექტის შესახებ სტრატეგია მიიღო.** ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ მიღებული სტრატეგია მიზნად ისახავს ხელოვნური ინტელექტის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გამოყენებას და ამ პროცესში შესაბამისი სამართლებრივი, ეთიკური სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფას.

აღნიშნული დოკუმენტი არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ცვლიან ომის წარმოების ფორმებს. საომარ ოპერაციებში რობოტების ჩართვა რეალობაა.

ხელოვნური ინტელექტი ყოველდღიურად იხვეწება. კომპიუტერული მეცნიერების მეშვეობით შექმნილი ინტელექტუალური კომპიუტერული მანქანა/პროგრამა უნარიანია ლოგიკური გადაწყვეტილებები მიიღოს. მას იყენებს თითქმის ყველა წამყვანი ორგანიზაცია. ის სხვადასხვა დარგში ინერგება, მათ შორის ჯანდაცვის, იუსტიციის, სოფლის მეურნეობის, განათლების, საგარეო და უსაფრთხოების სფეროებში.

ალიანსის თვალთახედვით, ხელოვნური ინტელექტი ცვლის გლობალური თავდაცვისა და უსაფრთხოების გარემოს. ის გვთავაზობს უპრეცედენტო შესაძლებლობებს. თუმცა მას თან ახლავს გამოწვევები. ტექნოლოგიები გავლენას ახდენენ ნატო-ს სამივე ძირითადი ფუნქციის განხორციელებაზე, იგულისხმება კოლექტიური თავდაცვა, კრიზისის მართვა და წევრ სახელმწიფოებს შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა.

ნატო და მისი მოკავშირეები ხელს შეუწყობენ რეგულარულად მაღალი დონის დიალოგის წარმართვას იმ კომპანიებთან, რომლებიც ჩართულები არიან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებაში. ეს პროცესი იქნება წინაპირობა საერთო ხედვის შესამუშავებლად ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებსა და გამოწვევებთან მიმართებით.

ნატო-ს სტრატეგიის თანახმად, ხელოვნური ინტელექტის განვითარება უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობების შესაბამისად, განსაკუთრებით ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის გათვალისწინებით.

ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციები უნდა იყოს გასაგები და პროცესი გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს. მნიშვნელოვანია, ნატო-სა და წევრი ქვეყნების დონეზე განისაზღვროს სერტიფიცირების პროცედურები.

ასევე, ალიანსი გადადგამს ნაბიჯებს ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციებში მიკერძოებული მონაცემების გამოყენების თავიდან ასაცილებლად და მათი ობიექტური ინფორმაციით უზრუნველსაყოფად, რათა სწორი მონაცემების დამუშავებით სათანადო დასკვნები გაკეთდეს.

რაც შეეხება საქართველოს, მონაცემების ეპოქაში ყოველდღიურად იზრდება ციფრული პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა. სწორედ აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში უნდა განვახორციელოთ ხელოვნური ინტელექტის შესახებ სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებას საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე და თავიდან აგვარიდებს მაღალი რისკის შემცველი აპლიკაციების გამოყენებას. სხვადასხვა დარგში ხელოვნური ინტელექტის მექანიზმის დანერგვა უნდა მოხდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვით. ასევე, ალიანსმა ინოვაციების ფონდი დააფუძნა, რომელიც 1 მილიარდი ევროს ღირებულების ინვესტიციას განახორციელებს ტექნოლოგიების მიმართულებით. ამ ფონდის ფარგლებში საქართველოსაც ექნება ფინანსური დახმარების მიღების შესაძლებლობა.

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისის“ თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი

### ვაშინგტონმა ირანის უპილოტო საფრენი აპარატების პროგრამას სანქციები დაუწესა



29 ოქტომბერს აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ და სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადეს სანქციების შესახებ, რომელიც ირანის უპილოტო საფრენი აპარატების წარმოების წინააღმდეგ იქნება მიმართული.


„თავიანთი ქმედებების და ირანის გუშაგთა კორპუსთან კავშირების გამო, ორი ირანული კომპანია Kimia Part Sivan Company (KIPAS), Oje Parvaz Mado Nafar Company (Mado Company) და ასევე რამდენიმე მაღალჩინოსანი სანქციების ობიექტი გახდა.

აშშ-ის ფინანსთა მინისტრის მოადგილის განცხადებაში ნათქვამია, რომ ირანის მიერ გამოყენებული და გავრცელებული უპილოტო საფრენი აპარატები საერთაშორისო უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ემუქრება. ირანი და მისი მარიონეტი ბოევიკები აქტიურად გამოიყენებენ ირანული წარმოების უპილოტო აპარატებს აშშ-ჯარების, მისი მოკავშირეებისა და საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების წინააღმდეგ.

აღნიშნულ საკითხს სახელმწიფო მდივანი, ენტონი ბლინკენიც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ აშშ ყველა საჭირო ინსტრუმენტს გამოიყენებს ირანის დესტრუქციული ქმედებების წინააღმდეგ, მათ შორის უპილოტო საფრენი აპარატების უკონტროლო გავრცელების წინააღმდეგაც და იმ მომარაგების ქსელების გასაწყვეტად, რომლის მეშვეობითაც ხდება საჭირო პროდუქციის ირანისთვის მიწოდება.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად უპილოტო საფრენი აპარატების ბრძოლის ველზე გაზრდილი მნიშვნელობის პირობებში, აშშ და მისი მოკავშირეები შეეცდებიან არ დაუშვან ირანის ხელში თანამედროვე სისტემების მოხვედრის შესაძლებლობა, ვინაიდან, კონვენციური შეიარაღების თვალსაზრისით, ყველა სხვა რეგიონალურ მოთამაშესთან შედარებით, ირანი ყველაზე მოძველებული სისტემებით არის აღჭურვილი. აღნიშნული ფაქტი კარგად გამოჩნდა, ასევე, ბოლო დროს ირან-აზერბაიჯანის საზღვართან ჩატარებული სამხედრო მანევრების დროსაც.

### ჩინეთმა ჰიპერბერითი ორბიტალური რაკეტა გამოსცადა



ჩინეთმა ჰიპერბერითი, ბირთვული შესაძლებლობების მქონე რაკეტა გამოსცადა, რომელსაც შეუძლია დედამიწას შემოუფრინოს მანამ, სანამ სამიზნეს მიაღწევს. აღნიშნული გამოცდა როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის აგვისტოში მოხდა. რაკეტამ სამიზნეზე დაშვებამდე დაბალ ორბიტალურ სიმაღლეზე შემოუფრინა დედამიწას წრეზე. როგორც ცნობილია, ახალი ჰიპერბერითი რაკეტა და მისი მატარებელი ორბიტაზე მთვარის მისია Chang'e-5-ის ფარგლებში გაშვებულმა რაკეტამ გაიტანა

ის რაც მედიაში რაკეტად მონათლა, სინამდვილეში ფაქტობრივად წარმოადგენს კოსმოსურ იარაღს რომელიც ატარებს „ავია პლანერს“. ის რომ აღნიშნული სისტემა კოსმოსში გამოიყენება არის უმთავრესი საკითხი და მეორე ხარისხოვანია ის თუ რა ტიპის ტვირთს, ქობინს ან მოდულს ატარებს. პრესაში აღწერილ იქნა, როგორც Fractional Orbital Bombardment System (FOBS). - ორბიტალური დამბომბვის ფრაქციული სისტემა, აღნიშნული ტერმინოლოგია 1960-იან წლებში

შეიქმნა, როდესაც საბჭოთა კავშირმა მსგავსი სისტემა გამოსცადა. როგორც ცნობილია, ჩინური რაკეტა ორბიტაზე ჰიპერბერითი რაკეტის გაშვებამდე გავიდა.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია, რომ აღნიშნული სისტემების განვითარება ჩინეთს პოტენციურად მოულოდნელი ბირთვული დარტყმის განხორციელების საშუალებს აძლევს.

დიდი ხანია ცნობილია, რომ ჩინეთი, აშშ და რუსეთი მუშაობენ ჰიპერბერითი იარაღის შექმნაზე, მათ შორის ორბიტაზე მოძრავი რაკეტის მატარებლებზე, თუმცა, აქამდე არსებული შემთხვევისგან განსხვავებით, ისინი დედამიწის გარშემო საკუთარი იმპულსის ხარჯზე მოძრაობენ.

ჩინეთის მიერ გამოცდილი ჰიპერბერითი იარაღი ბერის სიჩქარეზე ხუთჯერ სწრაფია და მიუხედავად იმისა, რომ ბალისტიკურ რაკეტაზე ნელია, მანევრირებადი და არ მიჰყვება ფიქსირებულ პარაბოლურ ტრაექტორიას. ეს კი მის თვალთვალსა და შესაბამისად, გაუვნებელყოფას ართულებს.


საჰაერო ძალების მდივანმა ფრენკ კენდელმა თეთრი სახლი გააფრთხილა, რომ ჩინეთი ცდილობს ბირთვული პირველი დარტყმის განხორციელების შესაძლებლობების განვითარებას.

როგორც ჩანს აშშ-ს ჩინეთთან კონკურენცია და პაექრობა არა მარტო ციფრულ სამყაროში, არამედ კოსმოსშიც აქტიურად მოუწევს თუ მას აქვს სურვილი კვლავინდებურად დარჩეს როგორც ნომერ პირველი გლობალური ძალა.



ანი შანიძე, „ჯეოქეისის“ უმცროსი მკვლევარი

### აზერბაიჯანი-თურქეთი-საქართველოს თავდაცვის მინისტრიალი



საქართველოში 5 ოქტომბერს აზერბაიჯანი-თურქეთი-საქართველოს სამმხრივი თავდაცვის მინისტრიალი გაიმართა. თავდაცვის მინისტრებმა რეგიონული უსაფრთხოების საკითხები, თავდაცვის კუთხით თანამშრომლობის მიმართულებები და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები განიხილეს.

მათ სამმხრივი თანამშრომლობის დოკუმენტს მოაწერეს ხელი. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ჯუანშერ ბურჭულაძემ ისაუბრა სამ ქვეყანას შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობის მნიშვნელობაზე. მან აღნიშნა, რომ მიზანი „ერთობლივი ძალისხმევით“ რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაა.

თურქეთის თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნა, რომ საქართველოში გამართული შეხვედრა ამ ქვეყნებსა და შეიარაღებულ ძალებს მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს, რომ მათ ქვეყნებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ენერგოწყაროების, მათ შორის ნავთობისა და ბუნებრივი აირის წარმოების და მსოფლიოს სხვა ნაწილებში ტრანზიტის კუთხით. ასევე, აღნიშნა, რომ კავკასიის რეგიონის სტაბილურობა და სიმშვიდე, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მათთვის, არამედ რეგიონის ყველა სხვა ქვეყნისთვისაც.

თვის მხრივ, აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა, ზაქირ ჰასანოვმა მინისტრიალს „სამ ქვეყნას შორის სტრატეგიული დიალოგის თვალსაჩინო მაგალითი“ უწოდა. აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ „ერთობლივი წვრთნების გამართვა სამმხრივი აქტივობების

ფარგლებში ახალი ეტაპზე გადასვლას დაუდებს საფუძველს“ და „რეგიონულ უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს“.

ერთი დღით ადრე, საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) სამწყობრო მოედანზე მრავალეროვნული სამეთაურო-სამტაბო სწავლება ETERNITY 2021 დაიწყო, რომელშიც საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის 200-ზე მეტი მონაწილეა ჩართული.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საერთაშორისო სწავლების სცენარის ამოსავალი იყო სამშვიდობო ოპერაციები, ხოლო მიზანი - კრიზისული სიტუაციის დროს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოების დაცვა. იგი, ასევე, აზერბაიჯანულ, თურქულ და ქართულ სამხედრო ქვედანაყოფებს შორის ურთიერთთავსებადობის ამაღლებას ითვალისწინებდა.

მეცხრე სამმხრივი მინისტერიალი თურქეთში 2022 წელს გაიმართება.